ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის - ვლადიმერ სიხარულიძის ანგარიში, 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობის შესახებ, ამომრჩევლებთან (მოსახლეობასთან) შეხვედრის სხდომის ოქმი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 17 ნოემბერი 2023 წელი.
შეხვედრის ადგილი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - მერიის სხდომათა დარბაზი.

შეხვედრას თვმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ირაკლი კუჭავა.
შეხვედრას ესწრებოდნენ:
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ზაალ მამალაძე;
სამანდტო, საპროცედურა საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - მარინე ბერაძე;
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე - ქეთევან სიხარულიძე;
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ვლადიმერ სიხარულიძე;
საკრებულოს წევრი - მანანა მინდაძე;
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;
მერიის წარმომადგენლები;
ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ წარმომადგენლები;
სხვადასხვა სოფლის ქალთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები;
ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამასა და კონკურსში მონაწილე ქალები;
მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრები, ახალგაზრდები;
მოქალაქეები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრმა, ვლადიმერ სიხარულიძემ ამომრჩვლებს წარუდგინა 2022 წლის ნოემბრიდან დღეის მდგომარეობით დღემდე გაწეული მუშობის შესახებ.

აღნიშნა, რომ არის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, გენდერული საბჭოსა და სამოქალაქო საბჭოს წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციის მუშაობაში, საკრებულოს მიერ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტების ინიცირებასა და მომზადებაში, მოქალაქეთა მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტაში. მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებისას ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნა, რომ მომავალში მისი საქმიანობის ძირითადი გამოწვევა იქნება თვითმმართველობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარებისთვის ზრუნვა. ისაუბრა განვლილ პროცესში საკრებულოს მიერ მიღებულ მნიშვნელოვან ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე, განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე (ანგარიში თან ერთვის).

ირაკლი კუჭავა დაინტერესდა, რამდენად მზადაა ჩოხატაურის ბიუჯეტი ბიზნესის

ხელშესაწყობად?

ვლადიმერ სიხარულიძე: ყოველთვის ვახერხებდით, გარკვეული მიმართულებებით თანადაფინანსებას. ახლაც, თანხების ოპტიმიზაციით, შესაძლოა თანადაფინანსების წილი გავზარდოთ მომავალი წლის ბიუჯეტში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დადებითად.

ვლადიმერ სიხარულიძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თვმჯდომარე